

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ 34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ინჟინერიის დოქტორი მშენებლობაში</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>180 კრედიტი.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<ul style="list-style-type: none"> - დოქტორანტს ჩამოუყალიბოს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა მშენებლობის დარგის მიმართულებით, რომელიც მისცემს მას საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციებისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას. - სრულად დაეუფლოს არჩეულ მიმართულებაში სპეციფიკურ (თეორიული და კვლევითი) მეთოდებს. - მომზადდეს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალ-კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. - ჩამოუყალიბოს ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობი უნარი. - ჩამოუყალიბოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების შემუშავების უნარი, რომელიც ახალ ცოდნაზე იქნება ორიენტირებული. - ჩამოუყალიბოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების უნარი. - ჩამოუყალიბოს კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის რთული და სადაო ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის უნარი, მათ შორის უხო ენაზე. - ჩამოუყალიბოს სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვისა და მართვის უნარი.
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>დოქტორს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> - დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, სამშენებლო კონსტრუქციების, შენობებისა და ნაგებობების მიმართულებით, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა - შეუძლია წარმოადგინოს საინჟინრო-სამშენებლო პრობლემის ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ანალიზი, შეიმუშაოს ეფექტური რეკომენდაციები დასმული საინჟინრო პრობლემის გადაჭრის ყველაზე ოპტიმალური გზების თაობაზე; - შეუძლია დასახოს კომპლექსური დონისძიებები პრობლემის გადასაჭრელად კვლევის რელევანტური მეთოდებისა და მოდელირების თეორიების გამოყენებით; - შეუძლია საინჟინრო მეცნიერებაში შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც მიმართულია ახალი ცოდნის შექმნაზე; - შეუძლია ურთულესი შენობება-ნაგებობების და სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშება და კონსტრუირება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე დამყარებული მეთოდებით; - შეუძლია გარემოსა და საზოგადოებისათვის უვნებლად მშენებლობის ინჟინრული მომზადება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმართვა-

	<p>წარმოება ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით;</p> <ul style="list-style-type: none"> - შეუძლია შეძენილი ცოდნის სხვაზე გადაცემა. <p>სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება სისტემის მიხედვით:</p> <p>ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;</p> <p>ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;</p> <p>გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;</p> <p>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;</p> <p>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>(A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს ბუფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს.</p> <p>(F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>გაიოზ (გიზო) ფარცხალაძე, პროფესორი</p> <p>ტელ: +995 577 59 59 43</p> <p>ელ-ფოსტა: gizo.partskhaladze@bsu.edu.ge</p>